თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №7

თბილისი, 7 ოქტომბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ბექა ძამაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ლაშა პიტნავა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი/თანაშემწე (NDI);
- ანნა მელიქიანი – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სამართლებრივი ანალიტიკოსი;
- თაია არაბული – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), თარჯიმანი/თანაშემწე;

- ქრისტინა კოსტელაჩი – „არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის“ (ENEMO) სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე;
- მარიამ ჯაფარიძე – თარჯიმანი (ENEMO).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ტატიანა ხოხიაშვილი – ა(ა)იპ „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსათვის“;
- დავით ჩიხელიძე – ა(ა)იპ „რეგიონული განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
3. სხვადასხვა.

ბატონი რატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია წარმოადგენს ერთადერთ ყველაზე მძლავრ მექანიზმს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე სათანადო რეაგირების კუთხით, სამწუხაროდ, ოპოზიციის წარმომადგენლები არ ესწრებიან სხდომას, რაც სრულიად გაუგებარია, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ეს პირები აცხადებენ, თითქოსდა წინასაარჩევნო კამპანიის პროცესი მიმდინარეობს სერიოზული დარღვევებით.

დღის წესრიგის შესაბამისად, მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ პირველ ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა „ქართული ოცნების" ვაკის ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების შესაძლო გამოყენების საკითხს, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსს, ბატონ გოგი ჩიქოვანს. როგორც ბატონმა გოგიმ განაცხადა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია; კადრებში ჩანს მხოლოდ სამსახურებრივი ავტომობილი, რომელსაც აქვს თავისუფალი გადაადგილების რეჟიმი და გამოიყენება მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობისთვის. აღნიშნულ ავტომანქანას ინფორმაციაში მოყვანილ ფაქტთან შეხება არ ჰქონია.

ამავე საკითხზე ისაუბრა ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი). როგორც მან აღნიშნა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც იყო წარმოდგენილი შესაბამისი საჩივარი; ჩატარებული წარმოების ფარგლებში გამოთხოვილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან წერილობითი პოზიცია, შესწავლილ იქნა წარმოდგენილი ვიდეოფირი. ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნული ვიდეოფირიდან და წარმოდგენილი პოზიციიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა კონკრეტულად ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით ინვენტარის გადატანის ფაქტი, ამავდროულად, სხვა დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებაც არ არსებობდა, რომ კონკრეტულად ეს ინვენტარი იყო საკრებულოს ბალანსზე ან კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებით მოხდა შესაბამისი ინვენტარის გადატანა. აქედან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, უარი ეთქვა შესაბამისი პირისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ რამდენიმე ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებოდა ქუთაისის საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის

მშობლების პოლიტიკური განწყობების დადგენის შესაძლო დავალებას; ერთ-ერთი სკოლიდან პედაგოგის შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ლექტორის შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას, ბატონმა რატიმ სიტყვა გადასცა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ გელა გელაძეს.

ქუთაისის საჯარო სკოლის შემთხვევასთან დაკავშირებით ბატონმა გელამ განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა; ერთადერთი საკითხი არის ის, რომ ყოველწლიურად, 2013 წლიდან, როდესაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შეიქმნა სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა", რომელიც პასუხისმგებელია სრულად განათლების სექტორის პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა მშობლების მონაცემების განახლება მათთან უფრო სწრაფი კომუნიკაციის მიზნით. მსგავსი ინფორმაცია იკრიბება პერსონალური მონაცემების სრული დაცვით. ის, რომ მშობლების პოლიტიკური განწყობები პედაგოგებმა დაადგინონ, მსგავსი რამ არ ფიქსირდება და სიმართლეს არ შეესაბამება.

ერთ-ერთი პედაგოგის სკოლიდან გათავისუფლების საკითხზე ბატონმა გელამ აღნიშნა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ვერ შეისწავლა საკითხი, რამდენადაც ინფორმაციაში კონკრეტული პედაგოგი და სკოლა არ ყოფილა დასახელებული. თუმცა, ბატონმა გელამ ისაუბრა გათავისუფლების მექანიზმის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მხრივ გამოყოფილია დისციპლინური კომიტეტი. მისი თქმით, თუ რაიმე გადაცდომას აქვს ადგილი რომელიმე პედაგოგის მხრიდან, კომიტეტის მიერ ხდება შესაბამისი საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს დისციპლინური კომიტეტის წევრი, ესენი არიან მშობლები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე, ადმინისტრაციის თანამშრომლები და პედაგოგები. ბატონი გელას განცხადებით, მეტი კონკრეტიკის შემთხვევაში – თუ რომელ სკოლას და რომელ პედაგოგს ეხება ინფორმაციაში მოყვანილი საკითხი, სამინისტრო მომდევნო სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის მოხსენებას.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ლექტორის შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის პერიოდში ინფორმაციაში ხსენებული ბატონი ნამდვილად აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას. ხელშეკრულების

ვადის ამოწურვის შემდგომ მას შესთავაზეს, მარტიდან გაეგრძელებინა საქმიანობა ახალი ხელშეკრულებისა და ახალი საათების ფარგლებში. შესაბამისად, აზრს მოკლებულია მისი რაიმე პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების მოსაზრება. ბატონი გელას თქმით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა, კვლავ აღასრულოს სასწავლო დაწესებულების მხრიდან შეთავაზებული პირობები ინფორმაციაში ხსენებულ ლექტორთან დაკავშირებით.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ იმ ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა საბერძნეთში საარჩევნო აქტივობისას ქართველ ემიგრანტებზე მომხდარ თავდასხმას, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე). როგორც მომხსენებელმა განაცხადა, საბერძნეთში საქართველოს პოლიციის ატაშესგან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ნამდვილად მოხდა მსგავსი ფაქტი, კერძოდ, ქალაქ ათენში გაიხსნა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ოფისი, სადაც შეკრებილ მოქალაქეებს ერთ-ერთმა, სავარაუდოდ, ოპოზიციურად განწყობილმა ქალბატონმა შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც გამოიწვია გარკვეული დაძაბულობა. თუმცა, როგორც თავად ბერძნულ პოლიციასთან გაირკვა, მათ რაიმე გამოძიება ან სისხლის სამართლის საქმეზე რაიმე კონკრეტული ქმედებები არ განუხორციელებიათ.

შემდგომ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სადამკვირვებლო კოალიციის – „ჩემი ხმა ევროკავშირს" – საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი მოწოდებას, რომ ამ უკანასკნელს გამოექვეყნებინა, თუ რამდენი სრულწლოვანი იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე და რამდენი მათგანი ვერ მოხვდა ცესკო-თვის გადაცემულ სიაში, ბატონმა რატიმ სიტყვა გადასცა ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). ქალბატონმა ხათუნამ განაცხადა, რომ სამინისტროს ელექტრონული პორტალი 2015 წლიდან ოპერირებს და, შესაბამისად, 2015 წლიდან მოყოლებული, დღემდე ამ პორტალით პირთა სარგებლობის სტატისტიკას აწარმოებს ვებგვერდი, ეს რიცხობრივი მონაცემი ქვეყნდება და იცვლება, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენმა პირმა შეიძლება გამოიყენოს ეს ელექტრონული ვებგვერდი სხვადასხვა მიზნით და არა მხოლოდ საკონსულო აღრიცხვისთვის; ეს არის რეალურად რიცხვი არა მხოლოდ იმ სრულწლოვანი მოქალაქეებისა, რომლებიც დღეის მდგომარეობით დგანან საკონსულო აღრიცხვაზე ამ არჩევნების მიზნებისთვის, არამედ აქ არიან ყველა სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე პირი, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი და, ასევე, ის პირები, რომელთა

შესახებაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ცესკო-ს არ გადასცემს ინფორმაციას, გამომდინარე იქიდან, რომ იმ სახელმწიფოებში არ ტარდება არჩევნები საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ის რაოდენობა, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცემს უკვე საბოლოოდ საკონსულო აღრიცხვების დასრულების შემდგომ, რა საკვირველია, იქნება განსხვავებული იმ კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაციისგან, რაც არის მოცემული სამინისტროს ვებგვერდზე, რამდენადაც მას სხვა მიზნობრიობა აქვს და სხვა სურათს გვაჩვენებს.

ამავე თემაზე ისაუბრა ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), რომელმაც დაადასტურა საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემები და განაცხადა, რომ ცესკო-მ ვრცელი განცხადება დადო მისთვის მიწოდებული მონაცემების რაოდენობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებიდან 2000-ზე ოდნავ მეტი მოაკლდა საერთო სტატისტიკას, რამდენადაც აღნიშნულ მოქალაქეებს არ ჰქონდათ ვალიდური მოქალაქის პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და, შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით ისინი საკანონმდებლო დანაწესით ვერ მოხვდებოდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ცხადია, რომ ეს თემა მეტწილად სპეკულაციურია და ამ საკანონმდებლო დანაწესებში 2008 წლიდან არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, ყველა ჩართულმა მხარემ ძალიან კარგად იცის საზღვარგარეთ ხმის მიცემის მოწესრიგების წესების შესახებ. ერთადერთი, რა ცვლილებაც მოხდა, ისაა, რომ 7 ოქტომბრამდე გაგრძელდა ვადა იმ ამომრჩევლებისთვის, რომელთაც არ აქვთ საკონსულო აღრიცხვა და არჩევნების მიზნებისთვის სურთ საზღვარგარეთ რეგისტრაცია. ბატონი გიორგის თქმით, რამდენიმე დღის წინ საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიღო დადგენილება, რომლის ინიციატორიც, ერთი მხრივ, იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველი, რითაც ამ მხარეებმა დაადასტურეს, რომ, საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისით, საარჩევნო ადმინისტრაცია და, მით უმეტეს, საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო აბსოლუტურად ზუსტი და მიჰყვებოდა კანონის ყველა დანაწესს; საარჩევნო ადმინისტრაცია დადგენილებას იღებს ისეთი საკითხების რეგულაციისთვის, რაც ან არ არის მოწესრიგებული კანონში, ან დამატებითი რეგულაციები სჭირდება. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ახალი დადგენილებით ყველა მოქალაქე, ვინც გაიარა საკონსულო რეგისტრაცია ან გაივლის 7 ოქტომბრის ჩათვლით და მისი რეგისტრაციის მისამართი არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შევა ამომრჩეველთა სპეციალურ

სიაში და შეძლებს საზღვარგარეთ ხმის მიცემას; ამას გარდა, კიდევ გაფართოვდა პირთა წრე (რაც საერთოდ არ ყოფილა მოთხოვნილი) და ის პირებიც მოხვდებიან ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, რომელთა მისამართებიც გაურკვეველია და მათ ფაქტობრივ მისამართად ჩათვლილ იქნა საკონსულო აღრიცხვის ადგილი შესაბამის ქვეყანაში 14 მაისის მონაცემებით დამუშავებულ სიაში, ეს შეეხება 800-ზე ოდნავ მეტ ამომრჩეველს, თუმცა, ორი დღის შემდეგ გახდება ცნობილი ის საბოლოო მონაცემი, თუ რამდენი ამომრჩეველია დარეგისტრირებული საზღვარგარეთ და აქედან რამდენს შეეხო ახალი დადგენილება.

ამის შემდეგ ბატონმა რატიმ, რამდენადაც მედიაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა საზღვარგარეთ მყოფი დევნილების მიერ ხმის მიცემასთან დაკავშირებით, დამატებით სთხოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, განემარტა, თუ რა პრობლემის წინაშე დგანან ამ კატეგორიის ამომრჩევლები.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, საქართველოს კანონმდებლობაში არის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი. ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ და კიდევ სხვა უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე; კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული, ვინ შეიძლება შევიდეს ამომრჩეველთა ერთიან სიაში. აქაც დანაწესია, რომ, თუ ამომრჩეველი არ არის ერთიან სიაში, დაუშვებელია სპეციალურ სიაში მისი გადაყვანა. რაც შეეხება თავმჯდომარის მიერ დასახელებულ პირებს, ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ სინამდვილეში ამ პირებს არ აქვთ დევნილის სტატუსი, თორემ სტატუსის და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის მისამართის ქონის შემთხვევაში, ისინი მოხვდებოდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, გადმოსცემდა რა ამ ინფორმაციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“; რამდენადაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების ჩატარება ვერ ხერხდება, აუცილებელია, ამგვარ პირებს ჰქონდეთ ფაქტობრივი რეგისტრაციის ადგილი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რათა მოხდეს მათი მიბმა საარჩევნო უბანზე და ასეთი ფაქტობრივი მისამართები საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან ბევრია. ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის თქმით, პრობლემა ისაა, რომ, საკანონმდებლო დანაწესის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ადგილის მქონე მოქალაქეები საზღვარგარეთ ვერ ხვდებოდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ვინაიდან შეუძლებელი იყო მათი უბნებზე განაწილება; მათ რომ

ჰქონოდათ დევნილის სტატუსი, მაშინ მათი ინფორმაცია გადმოცემული იქნებოდა სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ და პრობლემაც მოიხსნებოდა; სინამდვილეში, აქ საუბარია ამომრჩეველთა იმ სეგმენტზე, რომლებიც ცხოვრობენ უცხოეთში, არიან საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ მათი რეგისტრაციის ადგილი არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე; მათ რომ რეგისტრაციის ადგილი ჰქონოდათ უცხოეთში, ნებისმიერი ქვეყნისა და ქალაქის რომელიმე მისამართზე, მაშინ ასეთ ინფორმაციას ცესკო სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ მიიღებდა და ისინი იქნებოდნენ ერთიან სიაში, როგორც უცხოეთში მცხოვრები ბევრი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის ამომრჩევლის რეგისტრაციის პრობლემა საკანონმდებლო თვალსაზრისით იყო ცალსახა; საქართველოში მათი ვერცერთ უბანზე მიბმა ვერ მოხერხდებოდა და, შესაბამისად, ისინი ვერ მოხვდებოდნენ სპეციალურ საარჩევნო სიაში ქვეყნის გარეთ. ასეთივე პრობლემა ჰქონდათ იმ ამომრჩევლებს, რომელთაც აქვთ საკონსულო აღრიცხვა, მაგრამ მისამართი არ უფიქსირდებათ და არც უმისამართოს სტატუსი აქვთ; აქედან გამომდინარე, სწორედ ეს წარმოადგენდა პრობლემას (მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობილი დანაწესია) და ამიტომ გახდა საჭირო, საერთო ჩართულობით და ყველაზე მაღალი კონსენსუსით ერთხმად მიეღო ეს გადაწყვეტილება საარჩევნო ადმინისტრაციას, რათა საკითხი დაერეგულირებინა იმგვარად, რომ ამ კატეგორიის მოქალაქეები მაინც მოხვედრილიყვნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ დატოვოს საკანონმდებლო მოწესრიგების სივრცეში საზღვარგარეთ ხმის მიცემა, ცხადია, ახალი რეალობები მოითხოვს ახალ ხედვას ამ საკითხთან მიმართებით, რათა შემდგომ ეს არ გახდეს მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის საფუძველი.

მედიამონიტორინგით მიღებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სიტყვა გადაეცა ბატონ დანიელ დავითაშვილს (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). მისი თქმით, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია არ მონაწილეობს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში და მათი მხრიდან არ ხორციელდება საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება. ბატონმა დანიელმა ისაუბრა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ერთ-ერთ გადაცემაში გახმიანებულ ცრუ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება საარჩევნო პროცესებზე დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებას. გადაცემაში ითქვა, რომ 18 წელს მიღწეულ

პირებს შეუძლიათ სადამკვირვებლო პროცესში ჩართვა, თუმცა, კანონმდებლობით დადგენილია 21 წელი. მისი თქმით, ეს არის ხალხის მოსყიდვა და მოტყუება, ვინაიდან დამკვირვებლის სტატუსს სჭირდება კანონით დადგენილი პროცედურები. მათ შეცდომაში შეჰყავთ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები.

ბატონმა დანიელმა ყურადღება გაამახვილა საუბნო საარჩევნო კომისიებში მოსაწვევების დარიგებასთან დაკავშირებულ ხარვეზებსა და საუბნო საარჩევნო კომისიების მოწყობაზე, რაზეც ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, ეს პრობლემა ნამდვილად აქტუალურია, როდესაც პარტიული ნიშნით დანიშნული კომისიის წევრები თავს არიდებენ საკუთარი საქმიანობის განხორციელებას. საკმაოდ დაბალია მათი ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ტრენინგებში, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაცია დღესაც ახორციელებს. ტრენინგების მეორე ეტაპზე მონაწილეობა უნდა მიიღო კომისიის ყველა წევრს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ხშირია პარტიული ნიშნით არჩეული წევრის ჩანაცვლება/შეცვლა, რაც წარმოადგენს საფრთხეს კენჭისყრის დღისთვის, ვინაიდან მათ შესაძლოა, არ ჰქონდეთ გავლილი არცერთი ტრენინგი. ბატონი გიორგის თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს ამ გამოწვევაზე და სწორედ ამ მიზნით თავის დროზე კანონმდებლობაში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, რეგისტრაციას ახორციელებენ მხოლოდ პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრები. ისინი მუდმივად ერთვებიან ტრენინგებში და შესაბამის სწავლებას გადიან. რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიების მოწყობას, ბატონი გიორგის თქმით, ყველა არჩევნების წინ საუბნო საარჩევნო კომისიები განთავსებულია შედარებით მომცრო ოთახებში, სადაც ისინი ახორციელებენ ადმინისტრაციულ საქმიანობას. აღნიშნული შენობები არ წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკუთრებაში არსებულ შენობებს. უშუალოდ არჩევნების დღეს შედარებით დიდი ზომის ოთახებში მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა ისიც, რომ ამომრჩევლებს საკუთარი თავის გადამოწმება შეუძლიათ ელექტრონულადაც, აპლიკაციითაც, ამასთან, მიიღებენ ინფორმაციასაც, თუ როგორი ტიპის უბანი დახვდებათ – ელექტრონული თუ ტრადიციული. გარდა ამისა, აპლიკაციაში წარმოდგენილია შემეცნებითი, სასწავლო სიმულაცია/თამაში, რომელიც ამომრჩეველს დაეხმარება და გაუმარტივებს ხმის მიცემის პროცედურებს.

ბატონმა დანიელმა აღნიშნა ისიც, რომ თბილისსა და რუსთავში არცერთი ოპოზიციური პარტია არ მონაწილეობს საუბნო კომისიაში და აცხადებენ, რომ მხოლოდ არჩევნების დღეს გამოცხადდებიან. ამასთან, პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ არ დანიშნა 50 კომისიის წევრი. ოპოზიციურ პარტიებს არ ჰყავთ დამკვირვებლების სათანადო რაოდენობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) განაცხადა, რომ ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციის ან მათი დამკვირვებლების სარეგისტრაციო პროცესში ზედმიწევნით დაცულია კანონის ყველა მოთხოვნა. კანონზე მაღალ მოთხოვნას საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ დაუწესებს ვერცერთ დამკვირვებელს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან ოდესმე პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი ვერ შეიძენს დამკვირვებლის სტატუსს. ბატონი გიორგის თქმით, საარჩევნო კომისიას აქვს ელექტრონული საშუალება, სადაც ხორციელდება დამკვირვებლების რეგისტრაცია, სადაც ჩადებულია კანონით დადგენილი ყველა მოთხოვნა. მისი თქმით, რეგისტრაციის საკითხი არის სრულყოფილი და კანონთან შესაბამისი.

ბატონი გიორგის განცხადებით, 2024 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, მოქალაქეს, ვისაც არ აქვს რეგისტრაცია, შეეძლო, მისულიყო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და ფაქტობრივ მისამართზე დარეგისტრირებულიყო საარჩევნო მიზნებისთვის. ის მოქალაქეები, ვინც არ ან ვერ ისარგებლებს ამ სერვისით 5 ოქტომბრის ჩათვლით, საარჩევნო მიზნებისთვის ისევ გადანაწილდება იმ მისამართზე, რომელიც ოდესმე ჰქონდა მითითებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. შესაბამისად, ის რომ N მოქალაქის მისამართზე გამოჩნდება სახელები და გვარები, ეს არის კანონისმიერი და ლეგიტიმური. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები დაბრუნდნენ ძველ რეგისტრაციაზე და ეს არის კანონის გარდამავალი მუხლი, რომელიც 2026 წლის 1 იანვრამდე აწესრიგებს ე.წ. უმისამართო და რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხს. ბატონი გიორგის თქმით, ეს საკმაოდ რთული საკითხია. თუმცა, ეს სერვისი ჩადებულია როგორც აპლიკაციაში, ისე ვებგვერდზე. როგორც მან აღნიშნა, ჩატარდება ტექნოლოგიების აუდიტი, რომელმაც ერთ-ერთი კითხვა დასვა – ხომ არ შეიძლება ერთი ამომრჩეველი ორჯერ იყოს ამომრჩეველთა სიაში. აუდიტი გამოიკვლევს და დაადასტურებს, არის თუ არა ეს შესაძლებელი. მნიშვნელოვანია მესამე დამოუკიდებელი მხარის არსებობა ამ პროცესებში.

შემდგომ სიტყვა გადაეცა ბატონ გრიგოლ გაგნიძეს (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენელი), რომელმაც დასვა შეკითხვა ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათებით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით – რა მდგომარეობაა ამ კუთხით, ბოლომდე ჩანაცვლდა ლამინირებული პირადობები, თუ კვლავ არის ლამინირებული პირადობის მოწმობების მქონე მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა.

ბატონმა რატიმ ბატონ გრიგოლს უპასუხა, რომ ზუსტი რიცხვის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მომდევნო სხდომაზე მიაწვდიდა მას, თუმცა, აცნობა, რომ, ზოგადად, საბოლოო ჯამში, ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათით ჩანაცვლების აქცია წარმატებული იყო; ამის მიუხედავად, ლამინირებული პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა მაინც არის დარჩენილი, ოღონდ აღსანიშნავია, რომ საარჩევნო მიზნებისთვის ბევრს არ შეექმნება პრობლემა, გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ მცირეა იმათი რიცხვი, რომელთაც არ აქვთ საარჩევნო მიზნებისთვის ვალიდური საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (მაგალითად, პასპორტი). ბატონი რატის თქმით, მოქალაქეებს იქამდე მიეცემათ ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათით უფასოდ ჩანაცვლების შესაძლებლობა, სანამ ბოლო ლამინირებული პირადობის მოწმობა იქნება დარჩენილი.

დასასრულ, ბატონმა რატიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ ესწრება კომისიის სხდომას და თხოვნით მიმართა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, კომუნიკაციის შემთხვევაში, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისთვის გადაეცათ, რომ მათი დასწრება და კომისიის სხდომაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი